იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის შესახებ

დებულება

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომაზე ოქმი № 1 15.01.2016 წ.

ცვლილებები შეტანილია წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომაზე ოქმი № 2 09.03.2016 წ.
ოქმი N 3 10.03.2017 წ.
ოქმი N 6 12.06.2017 წ.
ოქმი N7 01.08.2017 წ.
ოქმი N21 01.12.2023 წ.

თელავი 2017

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის შესახებ.

1. საგნმანათლებლო პროგრამის წლიური საფასური განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის მიერ, რომელიც განიხილება აკადემიურ საბჭოზე და მტკიცდება წარმომადგენლობით საბჭოზე.

2. სტუდენტი იხდის განსხვავებას გრანტიდან გამომდინარე, დანარჩენი თანხა ირიცხება სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

3. სწავლის საფაური უნდა ჩაირიცხოს ბანკში უნივერსიტეტის სალარე ანგარიშზე

4. სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდა ხორციელდება იმ სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის დაანგარიშების მიხედვით, რომელზეც სტუდენტი დარეგისტრირდება მიმდინარე სემესტრში.

5. სწავლის სემეტრული საფასურის გადახდა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად შემდეგი წესით:

5.1. პირველი გადახდა (სემესტრული საფასურის 50 %) შესაძლებელია მოხდეს ადმინისტრაციული რეგისტრაციიდან მაქსიმუმ პირველ შუალედურ გამოცდებამდე დადგენილ ვადებში;

5.2. სწავლის სემესტრული საფასურის დარჩენილი ნაწილის გადახდა შესაძლებელია შუალედური გამოცდების დასრულებიდან დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე პერიოდში.

5.3. პირველი სემესტრის სტუდენტმა სწავლის სემესტრული საფასური უნდა გადაიხადოს სრულად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში.

6. სწავლის სემესტრული საფასურის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, სტუდენტს მომდევნო სემესტრში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის უფლება მიეცეს მხოლოდ დავალიანების დაფარვის შემდეგ. (წინააღმდეგ შემთხვევაში შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი).

7. განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია დეკანის წარდგინებით და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით მოხდეს თანხის გადანაწილება თვეების მიხედვით.

8. სტატუსშეჩერებული ან მობილობის მსურველი სტუდენტი აღდგენის შემთხვევაში იხდის დარჩენილი კრედიტების საფასურიდან დარეგისტრირებული კრედიტების თანხას ხელშეკრულებით შეთანხმებული წლიური გადასახადის მიხედვით. ამასთანავე, სტატუსშეჩერებული სტუდენტი აღდგენის შემთხვევაში მიმდინარე სემესტრში გადასახდელი თანხის 50%-ს იხდის აღდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

9. საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სასწავლებლად წასულ სტუდენტს უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, დარერეგისტრირებული სასწავლო კურსები ჩაეთვლება აკადემიურ რეგისტრაციად. სწავლის საფასური შეუძლია გადაიხადოს გაცვლითი პროგრამიდან დაბრუნების შემდეგ.
(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023)

10. სტატუსშეჩერებულ სტუდენტს უფლება აქვს ხუთი წლის განმავლობაში აღმოფხვრას ფინანსური დავალიანება და ჩაერთოს სასწავლო პროცესში. გადაუხდელობის შემთხვევაში, ხუთი წლის გასვლის შემდეგ, ავტომატურად შეუწყდება სტუდენტის სტატუსი და მისი აღდგენა მოხდება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სტატუსშეწყვეტილ სტუდენტს გადახდილი თანხა უკან არ უბრუნდება *(წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 12 ივნისის დადგენილება N 6)*

10[1]. ა) სადოქტორო პროგრამის სტუდენტი იხდის სემესტრულ გადასახადს პროგრამის წლიური საფასურის მიხედვით. გადახდის ოთხჯერადი გრაფიკის მიხედვით, სემესტრში ორჯერ წლიური საფასურის ¼ -ის ოდენობით.

ბ) სადოქტორო საგანმნათლებლო პროგრამით („იგულისხმება 6 სემესტრი") გათვალისწინებული ვადის დამთავრებისათვის, დისერტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ვადის გასვლის შემდეგ (მე-6 სემესტრის დასრულების შემდეგ), ყოველი მომდევნო სემესტრის მე-7 კვირამდე სადისერტაციო ნაშრომის შემთხვევაში, დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული გადასახადისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში (ყოველი მომდევნო შემესტრის მე-7 კვირის გასვლის შემდეგ, სადისერტაციო ნაშრომის წარმოუდგენლობის შემთხვევაში) დოქტორანტი სრულიად იხდის ყველა დამატებული სემესტრის შესაბამის გადასახადს."
(წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 01 აგვისტოს დადგენილება N7)
(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023)

გ) სტატუსშეჩერებული დოქტორანტის სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან მობილობით ჩარიცხვის შემთხვევაში, თუ სტუდენტს დარჩენილი აქვს მხოლოდ კვლევითი კომპონენტი, ყოველი სემესტრის ღირებულება განისაზღვროს 1000 ლარის ოდენობით.

დ) სტატუსშეჩერებული დოქტორანტის სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან მობილობით ჩარიცხვის შემთხვევაში, თუ სტუდენტს დარჩენილი აქვს სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, იგი ვალდებულია გადაიხადოს სასწავლო კომპონენტის საფასური კრედიტების რაოდენობის მიხედვით და კვლევითი კომპონენტის საფასური სემესტრში 1000 ლარი *(წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 12 ივნისის დადგენილება N 6).*

11. ცალკეულ შემთხვევებში, თუ რომელიმე პრობლემა ამ დებულებით არ არის დარეგულირებული, იგი გვარდება დაინტერესებულ მხარეთა მიერ საგანგებო განხილვით და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებით, რომელიც დოკუმენტურად ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

12. ამ დებულების ამოქმედებამდე სტუდენტს, რომელსაც ჰქონდა შეჩერებული სტატუსი და ფინანსური დავალიანების პირობებში აქვს მინიჭებული კრედიტები, სტუდენტის სტატუსის აღდგენისას, აღნიშნული კრედიტების საფასურის გადახდის შემთხვევაში, ჩაეთვლება მინიჭებული კრედიები. გადაუხდელობის შემთხვევაში აღნიშნული კრედიტები ბათილად იქნება ცნობილი.

13. დებულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

14. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის შესახებ დებულება (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N2. 6.10.2011).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფესორი /ქმ. ღარიბაშვილი/